

ხანდაზმულ პაციენტებში საშარდე ტრაქტის ინფექციების მართვა

სახელმძღვანელო

შინაარის:

1. ამოცანები
2. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტერმინის განმარტება
3. საკვანძო საკითხები
4. ხანდაზმულებში დააგადების მიმდინარეობისა და დიაგნოსტიკის თავისებურებები
 - 4.1 ქვედა საშარდე ტრაქტის ინფექციებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი
 - 4.2. ეტიოლოგია
 - 4.3. გამოყენები
 - 4.3.1. შარდის მაკროსერობა
 - 4.3.2. შარდის ბაქტერიოლოგიური გამოყენება
 - 4.3.3. შარდის გამოკვლევა ტესტ-ჩხინებით:
 - 4.3.4. ფუნქციური და სხვა გამოკვლევები
5. საშარდე ტრაქტის ინფექციების ანტიბაქტერიული მკურნალობა
 - 5.1. მკურნალობის მრანცაბები
 - 5.2. ანტიბაქტერიული მკურნალობის ტაქტიკა
 - 5.3. ხანდაზმულებში საშარდე ტრაქტის ინფექციების ემპირიული მკურნალობის ხელმა
 - 5.4. ანტიბაქტერიული მრეპარატების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება არ არის რეკომენდებული გერიატრიული პრაქტიკის პაციენტებისათვის
6. ინფორმაცია პაციენტებისათვის

დანართი ს მიკრობილოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად შარდისა და სისხლის აღებისა და ტრანსპორტირების ტექნიკა

1. ამოცანები

- საშარდე ტრაქტის ინფექციების დროული გამოცნობა;
- გუსტი დიაგნოსტიკა და შესაფერისი მკერნალობის უზრუნველყოფა რაციონალური ანგიბიოტიკოსების პრინციპების მკაცრი დაცვით;
- საშარდე ტრაქტის ინფექციებთან ასოცირებული სიმპტომების კონტროლი;
- ინფექციის ერადიკაცია;
- რეციდივისა და გართულებების პრევენცია;
- ინფექციის ხელშემწყობი ან თანმხლები დაავადებების იდენტიფიცირება და მართვა.

2. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტერმინის განმარტება

- ტერმინი საშარდე გზების ინფექცია იმ მდგომარეობას გულისხმობს, როდესაც ბაქტერიურიასთან ერთად ანთების სიმპტომებისა და ნიშნების გამოვლინებასაც აქვს აღვილი.
- მნიშვნელოვანი ბაქტერიურია-შარდის 1მლ-ში 10^5 ან მეტი ბაქტერიის არსებობა (ურეთრაში ყოველთვის არის ბაქტერიების უმნიშვნელო რაოდენობა, ამიტომ დასაშვებია ურეთრიდან მიღებული შარდის ნიმუში ბაქტერიების გარკვეულ რაოდენობას შეიცავდეს). სტერილურად აღებული შარდის პრეპარატის 1მლ-ში 10^2 -დან 10^4 ბაქტერიის არსებობაც ინფექციის მაჩვენებელია.
- ასიმპტომური ბაქტერიურია-მნიშვნელოვანი ბაქტერიურია, რასაც თან არ ახლავს დიმურია, შარდვის გახშირება, შარდის ახალაღმოცენებული შეუკავებლობა, დისკომფორტი ან ტკივილი წელის/ბოქვენზედა არეში, ცხელება ან ინფექციის სხვა სიმპტომები და ნიშნები შარდის ნიმუშის აღებამდე, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში.¹ ხშირია პაციენტებში შარდის ბუშტის ხანგრძლივი კათეტერიზაციისას. ასიმპტომური ბაქტერიურია აღინიშნება თემში მცხოვრები 65 წლის გემოთ ასაკის ქალების 20-25%-ში და მამაკაცების 10%-ში. ხანდაბმულებში, ფუნქციონალური უნარის მდიმე დარღვევებით, ასიმპტომური ბაქტერიურია 50%-ში აღინიშნება.² შემთხვევათა უმრავლესობაში ასიმპტომური ბაქტერიურია არ იწვევს დაავადებიანობასა და სიკვდილობას, ამდენად, ხანდაბმულებში მისი მკერნალობა საჭირო არ არის.³ ბოლო ხანებში, ამ თემაზე ჩატარებული კვლევების მონაცემების საფუძველზე ასიმპტომური ბაქტერიურიის მკერნალობა რეკომენდებულია, მხოლოდ, საშარდე ტრაქტის ობსტრუქციის შემთხვევაში.⁴
- ქვედა საშარდე გზების ინფექცია-შარდის ბუშტისა და ურეთრის (მამაკაცებში, ასევე, პროსტატის) ინფიცირება (მაგ. ურეთრიტი, პროსტატიტი ან ცისტიტი).
- მწვავე ბიელონეფრიტი-ერთი, ან თრივე თირკმლის მწვავე ინფექცია, რომლის დროსაც პროცესში ქვედა საშარდე გზებიც არის ჩართული.
- ქრონიკული ბიელონეფრიტი-თირკმლების განსაკუთრებული ქრონიკული პათოლოგია, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური ბუნების.
- ინფექციის რეციდივი-დაავადების გამორჩება, რომლის მიზები საწყისი ინფექციის გამომწვევი მიერთორგანიზმია. კლინიკურ პრაქტიკაში, სადაც რეცინული ლაბორატორიული გამოკვლევები ყველა შემთხვევაში არ ითვალისწინებს დაავადების გამომწვევი მიერთორგანიზმის იდენტიფიცირებას, მდგომარეობა ფასდება, როგორც რეციდივი, თუკი იგი ინფექციის პირველი ეპიზოდის შემდეგ მალე აღმოცენდება (მაგ. ორ კვირაში).
- რენფექცია-ადგილი აქვს სხვა მიკროორგანიზმით ახალ დაინფიცირებას.
- საშარდე ტრაქტის გაურთულებელი ინფექცია-ინფექცია, აღმოცენებული საშარდე ტრაქტისა და თირკმლის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში, ჩვეული გამომწვევით.
- საშარდე ტრაქტის გართულებულ ინფექციებს მიეკუთვნება ინფექცია:

- გამოწვეული ვირულენტული მიკროორგანიზმებით (მაგ. *S. aureus*);
- განვითარებული საშარდე ტრაქტის ანომალიის ფონზე (მაგ. კენჭები, ვებიკო-ურეტრალური რეფლუქსი, რეფლუქს ნეფროპათია, ნევროგენული შარდის ბუშტი, შარდის ბუშტის კათეტერი, შარდის ობსტრუქცია გამოწვეული პროსტატის ჰიპერტონიულით);
- განვითარებული დაქვეითებული იმუნიტეტის ფონზე (მაგ. შაქრიანი დიაბეტი, იმუნოსუპრესიული თერაპია);
- ასოცირებული თირკმლის ფუნქციათა გაუარესებასთან (Brumfill et al, 1998, Stamm, 1998).

3. საკვანძო საკონხები

- საშარდე ტრაქტის ინფექციები გერიატრიული მედიცინის ხშირი პრობლემაა;
- ასაკის მატების პირდაპირპროპორციულად იზრდება საშარდე გზების ინფექციების რისკი. 20-60 წლის ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცებში საშარდე ტრაქტის ინფექციებით ავადობა 1%-ს შეადგენს, 60-70 წლის პირებში ეს მაჩვენებელი 3%-მდე, ხოლო 80 წლის გემოთ 10%-მდე იზრდება;⁵
- ასაკის მატებასთან ერთად საშარდე გზების ინფექციებით ავადობის ზრდას ხელს უწყობს შემდეგი პათოგენეტიკური ფაქტორები;⁶

| ურთდინაშიების მოშლა | იმუნიტეტის დაქვეითება და შეტაბლური დარღვევები |
|---|--|
| <p><input type="checkbox"/> რეფლუქსი (ბუშტ-შარდსაწვეთის, შარდსაწვეთ-ფათლის)</p> <p><input type="checkbox"/> შარდის ბუშტის დასფუნქცია (შაქრიანი დიაბეტი, ხერხემლის წელის სეგმენტის და-ზიანება)</p> <p><input type="checkbox"/> წინამდებარე ჯირკვლის ადენომა</p> <p><input type="checkbox"/> შარდ-სასქესო სისტემის სიმსივნეები</p> <p><input type="checkbox"/> შარდ-კენჭოფანი დაავადება</p> <p><input type="checkbox"/> თირკმლის ჰემოდინაშიების მოშლა</p> <p><input type="checkbox"/> თირკმლის არტერიის ათეროსკლეროზი</p> <p><input type="checkbox"/> არტერიული პიპერტენზია</p> <p><input type="checkbox"/> გულის უქმარისობა</p> <p><input type="checkbox"/> დიაბეტური ანგიოსკორია</p> <p><input type="checkbox"/> სხვადასხვა ინფექცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ◆ ქოლეციისტია/ქოლანგიოტი ◆ გინეკოლოგიური ინფექცია (ადნექსიტი, სალპინგიტი, ენდომეტრიტი, გაგინიტი) ◆ თსტეომიელიტი | <p><input type="checkbox"/> მკურნალობა ციტოსტატიკური პრეპარატებით და პრევნისტოლონით</p> <p><input type="checkbox"/> შაქრიანი დიაბეტი</p> <p><input type="checkbox"/> პოდაგრა</p> <p><input type="checkbox"/> ინფოლუციური თხტეოპოროზი</p> <p>პიპერტალცემით და პიპერტალციურით</p> <p><input type="checkbox"/> ინფოლუციური (არასპეციფიკური) იმუნოდეფიციტური მდგომარეობები</p> <p><input type="checkbox"/> კვლევის ინსტრუმენტალური შეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> ♦ საშარდე გზები: — შარდის ბუშტის კათეტერიზაცია — რენტგენოკონტრასტული საშუალებების გამოყენება <p>სხვა ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> — ეპიცისტოსტომის არსებობა — საშვილოსნოს გამოვარდნა — სანგრძლიაფი იმობილიზაცია — შარდის შეუკავებლობა — თპერაციული ჩარევა შარდ-სასქესო თრგანოებზე |

- პიელონეფრიტი და ქვედა საშარდე ტრაქტის ინფექციები ვითარდება, როგორც პირველადად, ასევე სხვადასხვა დაავადების ფონზე (შარდკენჭოვანი დაავადება, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, ქალთა სასქესო ორგანოების დაავადებები, შარდსასქესო სისტემის სიმსივნეები, შაქრიანი დიაბეტი) ან-როგორც ოპერაციის შემდგომი გართულება.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხანდაბმულთა პიელონეფრიტს, რომელიც გერიატრიული პრაქტიკის სერიოზული პრობლემაა. მისი სიხშირე სიცოცხლის ყოველ

ათწლეულში იბრდება, მეათე ათწლეულში მამაკაცებში ხანდაგმულთა პიელონეფრიფის განვითარების მაჩვენებელი 45%, ხოლო ქალებში 40%-ია.

- პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ბაქტერიურიასა და პიელონეფრიფს შორის კორელაციის დადგენა. პიელონეფრიფს, ჩვეულებრივ, თან ახლავს ან წინ უსწრებს ბაქტერიურია. ბაქტერიურია არ აღინიშნება, თუ ადგილი აქს დაბინანებულ მხარეს შარდსაწვეთის გაუვალობას ან საქმე გვაქცს თირკმლის იმტლირებულ ჩირქოვან კერასთან. თუმცა, ბაქტერიურიის არსებობა, ჯერ კიდევ, არ ნიშნავს იმას, რომ პიელონეფრიფი სახებევა ან მოსალოდნელია მისი განვითარება.

4. ხანდაზმულებში დაავადების მიმდინარეობისა და დიაგნოსტიკის თავისებურებები

4.1 ქვედა საშარდე ტრაქტის ინფექციებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი

ტომიური:

- **სიმპტომები:** დიბურია, შარდვის გახშირება, წვა და მტკიცნეულობა შარდვისას, დამით შარდვის გახშირება, ჰემატურია, დისკომფორტი ბოქვენზედა არეში;
- **ნიშნები:** პალპაციით ბოქვენზედა არის მტკიცნეულობა, შარდის შემდგრება ან მკვეთრად არასასიამოვნო სუნი.

ატიმიური:

- ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითება (მ.შ. იმუნიტეტის დაქვეითება და ცვლილებები სისხლის შემადედებელი სისტემის ფუნქციონირებაში, თანმხლები დაავადებები, პირველ რიგში, შაქრიანი დიაბეტი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, შარდენჭოვანი დაავადება, ფსიქიური სფეროს პათოლოგია (კრიფიკის დაქვეითებით), ცუდი ჰიგიენა) და ამის ფონზე დაავადების აფიპიური მიმდინარეობა ართულებს დიაგნოზის დასმის პროცესს. დაავადების აფიპიური მიმდინარეობის გამო პიელონეფრიფი დიაგნოზდაუსმელი რჩება შემთხვევათა 13%-ში, ხოლო ჰიპერდიაგნოსტიკას ადგილი აქს 10%-ში. განსაკუთრებით ხშირად პიელონეფრიფი არადიაგნოსტირებული რჩება 70 წლის გემოთ მამაკაცებში. პიელონეფრიფის ჰიპერდიაგნოსტიკა კი ხშირია 80 წლის გემოთ მამაკაცებში.
- ხანდაზმულებში საშარდე ტრაქტის ინფექციები არასპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, როგორიცაა შარდის მეორადი შეუკავებლობა, კონფუზია, ანორექსია, მაღალი ტემპერატურა ან შოკი.⁷
- მაღალი ცხელება ($>38,5^{\circ}$) უფრო მეტად პიელონეფრიფის მანიშნებელია, ვიდრე ცისტიფისა. ხანდაზმულებში პიელონეფრიფის კლინიკური სურათი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული პაციენტის ბოგადი მდგომარეობასა და თანმხლებ დაავადებებზე. მაგ. კახექსიის ფონზე მძიმე პიელონეფრიფიც კი, შესაძლოა, წაშლილი კლინიკით მიმდინარეობდეს და მისი არსებობა მხოლოდ შარდში უმნიშვნელო ცვლილებებით ჩნდება.⁸
- ხშირად ვლინდება დამახასიათებელი ინგოქსიკაციური სინდრომი, რომელიც, უპირატესად, ნევროლოგიური სიმპტომატიკით მიმდინარეობს: სივრცესა და დროში ორიენტაციის უეცარი დაკარგვა, დასემა, შარდისა და განავლის შეუკავებლობა.
- ხანდაზმულებში ბაქტერიემიული შოკის ერთადერთი ნიშანი ბოგჯერ მკვეთრი არტერიული ჰიპოტენზია, ხოლო ჰიციენტებში საწყისი ჰიპერტენზით-არტერიული წნევის ნორმალიზაცია.

4.2. ეტიოლოგია

საშარდე ცრაქტის ინფექციების ყველაზე ხშირი გამომწვევა:

- ნაწლავის ჩინო (Escherichia coli)

საშარდე ცრაქტის ინფექციების შედარებით იშვიათი გამომწვევები:

- *Proteus vulgaris*, *Klebsiella species*, *Enterobacter species*, *Citrobacter species*, *Serratia marcescens*, *Acinetobacter species*, *Pseudomonas species*, *Staphylococcus aureus*
- *Candida albicans*-იშვიათია თემში მცხოვრებ მოხუცებში. ამ მიკროორგანიზმით გამოწვეული ხაშარდე ტრაქტის ინფექცია ხშირია შარდის ბურტის კათეტერიზაციის, ჟაქრანი დაბურტის, ამუნიტურებრივი მდგრადარებებისა და ანტიბიოტიკობული ბურნალობის პირობებში.

4.3. გამოკვლეული

4.3.1. შარდის მიკროსკოპია

- საშარდე ცრაქტის ინფექციების დიაგნოსტიკას საფუძვლად უდევს შარდში ბაქტერიების რაოდენობის განსაზღვრა. გამოსაკვლევად იღებენ სპონგანური შარდვისას მიღებული შარდის გარკვეულ (შეაღებულ) პორციას.
- გამოკვლევის პირველი საფეხური არაცენტრიფუგირებული შარდის შესწავლაა. მიკროსკოპით შესწავლისას ($X40$) მხედველობის ველში ერთი ბაქტერიის აღმოჩენა 1 მლ შარდში 10^5 ან მეტი ბაქტერიის არსებობაზე მიუთითებს. პაციენტს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაციი შარდის შეგროვების ჰიგიენური პროცედურებისა და შარდის „შეა ნაკადის“ ნიმუშის აღების წესის შესახებ. მხედველობის ველში 5 ლეიკოციტე მეტის აღმოჩენა ნორმიდან გადახრამე მიუთითებს.
- პაციენტებში მწვავედ მანიფესტირებული კლინიკური სიმპტომებითა და პიურიით ბაქტერიურია დაღასტურებულად ითვლება, თუ შარდში ბაქტერიების რაოდენობა $> 10^2$ -გ.⁹

4.3.2. შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლეული

- შარდის ბაქტერიოლოგიას ხანდაზმულ პაციენტებში იშვიათად მიმართავენ. მისი ჩატარება მიმართავენ არ არის შემდეგ შემთხვევებში:
 - მწვავე გაურთულებელი ინფექციის დროს;
 - ამბულატორიული მკურნალობისას;
 - ასიმპტომური ბაქტერიურის შემთხვევაში (განსაკუთრებით შარდის ბუმტის მუდმივი კათეტერიზაციის შემთხვევებში)
- ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების სიზუსტის უბრუნველყოფის მიზნით, საჭიროა შარდის შეგროვების ტექნიკის მკაცრად დაცვა (იხ. დანართი 1). მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის შარდის პორცია უნდა მიიღონ ანტიმიკრობული მკურნალობის დაწყებამდე. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი იღებს ანტიბიოტიკებს, გამოკვლევის ჩატარებამდე 2-3- დღით ადრე პაციენტმა წამლის მიღება უნდა შეწყვიტოს.
- ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის ცრუ უარყოფითი შედეგების მიზეზი შეიძლება გახდეს ბორის მეავა (ამ პრეპარატით შარდის შენახვისა და ცრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი მუშავდება. ბორის მეავას, მაღალი კონცენტრაციისას, ბაქტერიოლიული მოქმედება აქვს. ამის თავიდან ასაცილებლად ჭურჭელი შარდით ბოლომდე უნდა შეივსოს) ან ანტიმიკრობული პრეპარატის მიღება ნიმუშის აღებამდე 2-3- დღის პერიოდში.

4.3.3. შარდის გამოკვლევა ტესტ-ჩხირებით:

- ტესტ-ჩხირებით შარდის გამოკვლევა ზოგად საექიმო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული მეთოდია;
- ტესტ-ჩხირებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება საშარდე გზების ინფექციების დადასტურება ან გამორიცხვა.

ნიტრიტის ტესტი: 10

- საშარდე ტრაქტის გამომწვევი მიკროორგანიზმების უმრავლესობა ნიტრიტებს ნიტრიტად გარდაქმნის;
- ტესტის დადებითი შედეგი ბაქტერიურის მაჩვენებელია;
- უარყოფითი ტესტი არ გამორიცხავს საშარდე ტრაქტის ინფექციის დიაგნოზს, ვინაიდან ბოგიერთი პათოგენის მიერ არ ხდება ნიტრიტ რედუქტაზის პროდუცირება, გახშირებული შარდვის გამოც რედუქტაზა ვერ ასწრებს მოქმედებას, რაც ცრუ-უარყოფითი შედეგების მიზები ხდება.

ლეიკოციტებურაზას ტესტი:

- ლეიკოციტესტერაზა ლეიკოციტების მარკერია, მაგრამ ეს ტესტი მიკროსკოპიასთან შედარებით ნაკლებ მგრძნობიარეა;
- დადებითი ტესტი პიურიის მაჩვენებელია, რაც, თავის მხრივ, საშარდე ტრაქტის ინფექციის არსებობას ადასტურებს. თუმცა, ლეიკოციტების ნიმუშის დაბინძურების შანსი ყოველთვის არსებობს და, ამდენად, დადებითი პასუხის შემთხვევაში, აუცილებელი არ არის ეს ინფექციით იყოს გამოწვეული.
- ტესტის უარყოფითი პასუხიც არ გამორიცხავს საშარდე ტრაქტის ინფექციის დიაგნოზს—ტესტი მგრძნობიარე არ არის, ამასთან, პიურია საშარდე ტრაქტის ინფექციების დროს ყოველთვის არ აღინიშნება.

ერითროციტების და ცოლა:

- საშარდე ტრაქტის ინფექციების დროს შარდში, ბოგჯერ, ვლინდება ცილა და ერითროციტები. თუმცა ამას დადებითი ან უარყოფითი დიაგნოსტიკური დირებულება არა აქვს.

ტესტების კომბინირება:

ზემოაღწერილი ყველა ტესტის კომბინირება გრძის მგრძნობელობას, მაგრამ სპეციფიკურობა მცირდება. მაქსიმალური მგრძნობელობის ფონზე არასაჭირო შემთხვევაში მკურნალობის მაჩვენებელმა, შესაძლოა, 50%-ს მიაღწიოს, მაშინ, როდესაც არანამკურნალევი შემთხვევების სიხშირე 10%-ზე მეტი რჩება⁵.

4.3.4. ფუნქციური და სხვა გამოკვლეული

- რეტინულად სპეციალური გამოკვლევების ჩატარება რეკომენდებული არ არის;
- პაციენტის მიმართვა დამატებითი გამოკვლევებისათვის მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში:
 - შარდის ობსტრუქციის ნიშნებისას (მაგ. პროსტატის ჰიპერტონია);
 - როდესაც მდგომარეობა არ ემორჩილება შესაფერის ანტიმიკრობულ მკურნალობას;

- საშარდე ტრაქტის ინფექციების ხმირი ეპიზოდების დროს (მაგ. წელიწადში ორგე მეტი);
- პერსისტული ჰემატურიის შემთხვევაში (მიკრო ან მაკრო);
- ანამნეზში პიელონეფრიტის, შარლენჭოვანი დაავადების ან შარლ-სასქესო ტრაქტზე ქირურგიული ჩარევის დროს.

5. საშარდე ტრაქტის ინფექციების ანტიბაქტეროული მკურნალობა

5.1. მკურნალობის პრინციპები

- ანტიბაქტერიული თერაპიის ჩატარება საჭიროა საშარდე ტრაქტის ინფექციების კლინიკური ნიშნების მანიფესტაციის შემთხვევაში, ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხანდაბმულებში ინფექციის სიმპტომატიკა წაშლილია ან იგი ატიპიური ფორმით ვლინდება.
- საწყის ეტაპზე, ხანდაბმულებში საშარდე ტრაქტის ინფექციაზე საეჭვო ყველა შემთხვევა გართულებულ ინფექციად უნდა ჩაითვალოს. ხანდაბმულებში საშარდე ტრაქტის ინფექციის გამომწვევი ხშირად სხვა მიკროოგანიზმი (ები), კერძოდ, გრამ-უარყოფითი მიკროორგანიზმები და არა E.coli-ა. გართულებული ინფექციების დროს მაღალია ანტიმიკრობული რეზისტენტობის რისკი. მაგ. საშარდე ტრაქტის გართულებული ინფექციების 70%-ში აღინიშნება რეზისტენტობა **ამბაცილისის**, ხოლო 50%-ში **ცეფალოსპორინების** მიმართ.⁶
- ანტიბაქტერიული პრეპარატების პროფილაქტიკური გამოყენება, რასაც ხშირად მიმართავენ აბცელაციონულ პირობებში საშარდე ტრაქტის ქრონიკული ინფექციების მკურნალობისას, არ არის რეკომენდებული ხანდაბმულ პაციენტებში, ვინაიდან ამ შემთხვევაში პრეპარატების ტოქსიკურობა აჭარბებს მათი გამოყენებით მიღებულ სარგებელს, ამასთან, სრული განკურნების შანსი დაბალია.
- ახალგაზრდა პაციენტებისაგან განსხვავებით, ხანდაბმულებში ერადიკაციის მცდელობა მიმართებული არ არის, ვინაიდან ეს ნაკლებადაა შესაძლებელი და ამავე დროს, მკურნალობის ხანგრძლივ კურსს მოითხოვს.
- ხანდაბმულებში მკურნალობის ადეკვატურობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: კლინიკური გამოჯანმრთელება (ან სიმპტომების გაუმჯობესება); ბაქტერიომიის არარსებობის შემთხვევაში კი-ბაქტერიულის ხარისხის შემცირება.
- ანტიბაქტერიული პრეპარატის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ხანდაბმულ პაციენტებში ადგილი აქვს ექსკრეტორული ორგანოების (ლვიძლი, თირკმელები) დისფუნქციას, რამაც, შესაძლოა, განაპირობოს ტოქსიკური მოვლენები მაშინაც კი, როდესაც პრეპარატის თერაპიული დოზაა გამოყენებული.¹¹

ხანდაზმულებში ანტიბაქტერიული პრეპარატის შენჩევისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- უპარატესობა ენფეციაზე ბაქტერიული მოქმედებების ანტიბირობულ პრეპარატებს;
- ტოქსიკური ზემოქმედების ხარისხი;
- მედიკამენტების ფარმაკოგინეტიკის ასაკობრივი ცვლილებები;
- მკურნალობის რეფილის მოხსენებულობა (სასურველია, რომ პრეპარატი დაინიშნოს არაუგეტეს თოჯერ მისაღებად დღეში, გნიადან, წინაღმდევ შემთხვევაში, ეს მნიშვნელოვანდ აურეცებს პაციენტის მიერ დანიშნულების შესრულების აღბათობას);
- მედიკამენტის დაინებულება (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაციენტის ამბულატორიული მკურნალობისას).

5.2. ანტიბაქტერიული მკურნალობის ტაქტიკა¹²

- საშარდე ტრაქტის ინფექციების სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა ის პრეპარატები, რომლებიც შარლში კონცენტრირდება—**ქინოლოფები** ან **ტრიამეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლი**.
- **ამბიციალისის** (ან პენიცილინებზე აღერგის შემთხვევაში ალტერნატიული პრეპარატის) გამოყენება რეკომენდებულია ენტეროკოკების დათრგუნვის მიზნით მამაკაცებში—საშარდე ტრაქტის ინფექციებით.
- **ნიტროფურანტომის** გამოყენება ხანდაბმულებში, თირკმლის კლირენსის დაქვეითების გამო, გაუმართლებელია.¹³
- ემპირიული ანტიბაქტერიული მკურნალობა ეფუძნება იმ ანტიბაქტერიული პრეპარატის შერჩევას, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს ყველა შესაძლო გამოწვევას კონკრეტულ სიტუაციაში. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით შესაძლოა მკურნალობის კორექცია (თუ ამის საჭიროება შეიქმნა).
- მკურნალობის ეფექტურობა უნდა შეფასდეს მისი დაწყებიდან 48-72 საათის შემდეგ.
- საშარდე ტრაქტის გაურთულებელი ინფექციების დროს ანტიბაქტერიული მკურნალობა ქალებში 7-10 დღე, ხოლო მამაკაცებში 10-14 დღე უნდა გაგრძელდეს. ასეთი რეკიმის ფონზე, ჩვეულებრივ, წარმატებით ხდება სიმპტომების შემსუბუქება. ერთიდან სამ დღემდე ანტიბაქტერიული მკურნალობის რეჟიმი ხანდაბმულებში რეკომენდებული არ არის.¹⁴
- საშარდე ტრაქტის გართულებული ინფექციების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ანტიბაქტერიული მკურნალობის პარენტერალურ რეჟიმს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ მოხუცს არ შეუძლია ორალურად მედიკამენტების მიღება. მკურნალობის მინიმალური ხანგრძლივობა 14 დღეა.¹⁵
- სიმპტომების პერსისტულობისას საჭიროა გადაიხედოს დანიშნული მკურნალობა. პრეპარატი უნდა შეირჩეს შარდის ბაქტერიოლოგიური ანალიზის მონაცემების საფუძველზე.
- არაკათეტერიზებულ პაციენტებში საშარდე ტრაქტის ინფექციის სიმპტომების რეციდივულობისას, თუ უროლოგიური შეფასების ფონზე ინფექციის შექცევადი მიზები ან მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორი არ გამოვლინდა, რეკომენდებულია ანტიმიკრობული პრეპარატების ხანგრძლივად დანიშვნა დაბალი დოზებით. მაგ. **ტრიამეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლი** (80/400მგ), ცალკე **ტრიამეტოპრიმი** (100 მგ), ან **ნიტროფურანტომი** (50მგ) დღეში (დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თირკმლის კლირენსი≥40მლ/წთ-ში).¹⁵
- კათეტერიზებულ პაციენტებში საშარდე ტრაქტის ინფექციაზე საეჭვო შემთხვევაში რეკომენდებულია სპეციალისტის კონსულტაცია.

5. 3 ხანდაზმულებში საშარდე ტრაქტის ინფექციების ემპირიული მკურნალობის სქემა¹⁶

| მდგომარეობა/კლინიკური შემთხვევა | რეკომენდაციები |
|---|--|
| ასიმპტომური ბაქტერიურია | ჩვეულებრივ, მკურნალობა საჭირო არ არის |
| ქალებში | მკურნალობა საჭირო არ არის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანმნდები დაავადებების ფონზე მაღალია სიმპტომური ინფექციის აღმოცენების რისკი |
| მამაკაცებში | გამორიცხეთ ნარჩენი შარდი, კენჭები ან სიმხივნე |
| საშარდე ტრაქტის გაურთულებული ინფექციები | <p>ტრიმეტოპრიმ/სულფამეტოქსაზოდი (ბაქტრიმი, სეპტრა) 160-/800 მგ ანუ ერთი აბი თრჯერ დღეში 7-10 დღის განმავლობაში</p> <p>ამოქსიცილინი 500 მგ სამჯერ დღეში 7-10 დღე (რეკომენდებულია მის მიმართ მგრძნობიარე გამომწვევის შემთხვევაში)</p> <p>ქინოლონები:</p> <p>ციამროფლოქსაცინი 500 მგ თრალურად თრჯერ დღეში 7-10 დღე</p> <p>თფლოქსაცინი 200 მგ თრალურად თრჯერ დღეში 7-10 დღე</p> <p>ნორფლოქსაცინი 400 მგ თრალურად თრჯერ დღეში 7-10 დღე</p> <p>ცეფალოქსინი 500 მგ თრალურად თრჯერ დღეში 7-10 დღე</p> |
| საშარდე ტრაქტის გართულებული ინფექციები | <p>თუ პაციენტს შეუძლია პრეპარატის მიღება თრალურად:</p> <p>ციამროფლოქსაცინი 500 მგ თრალურად თრჯერ დღეში 7-14 დღე</p> <p>თფლოქსაცინი 200 მგ თრალურად თრჯერ დღეში 10 დღე</p> <p>ნორფლოქსაცინი 400 მგ თრალურად თრჯერ დღეში 10-21 დღე</p> <p>პარენტერალური რეჟიმით პრეპარატის შეყვანისას:</p> <p>ციამროფლოქსაცინი 500 მგ კენაში 12 საათში ერთხელ 7-14 დღე</p> <p>თფლოქსაცინი 20 მგ გენაში 12 საათში ერთხელ 10 დღე</p> <p>მძიმე შემთხვევებში რეკომენდებულია ამინოგლიკოზიდებისა და ნახევრად სინეზერი პენიცილინების ან ცეფალოსპორინების კომბინაცია (აუცილებელია თირკმლის ფუქნციათა მკაცრი მონიტორინგი)</p> |
| საშარდე ტრაქტის ინფექციის რეციდივი | მკურნალობა დამოკიდებულია ძირითად (თანმხლებ) დაავადებაზე. უმკურნალეთ ქრონიკულ ბაქტერიულ პროსტატის, სულ მცირე, თოხი გვირის განშავლობაში ქინოლონებით ან ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოდით. |
| რენფექცია | სითხეები დიდი აოდენტიბით, შარდის შემფავება, და სუპრესოული ანტიბიოტიკოთერაპია ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოდით |

5.4. ანტიმიკრობული პრეპარატების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება არ არის რეკომენდებული გერიატრიული პრაქტიკის პაციენტებისათვის

ხანდაგმულებში არ არის მიზანშეწონილი ბაქტერიოციტული მოქმედების ანტიმიკრობული პრეპარატების ფართო გამოყენება (ტეტრაციკლინი, სულფანილამიდები, ქლორამფენიკოლი, ლინკომიცინი). ამ დროს მაღალია მდგრადი შტამების სელექციის რისკი და სუპერინფექციის განვითარების საშიშროება.

| პრეპარატები | არასასურველი ეფექტები |
|--|--|
| ამინოგლიკოზიდები | ნეფროტოქსიკურობა, გესტიმბულარული და სმენითი დარღვევები, ნეიროტოქსიკურობა |
| პოლიმიქსინები | ნეფროტოქსიკურობა |
| ტეტრაციკლინები | ნეფროტოქსიკურობა თარკმლის ფუნქციის დაქვეითებისას |
| ქარბოქსიპენიციდინები (კარბენიციდინი, ტიგარციდინი) | თრომბოციტების დასფუნქცია (ხიხხლდენა), ჰიპერნატრიოდება (ხითხის შეკავება), გულის უქმარისობის პროგრესირება პაიოკალებია |
| ნიტროფურანები | მაღალტოქსიკურობა თარკმლის ფუნქციის დაქვეითებისას |
| ქლორამფენიკოლი | ძვლის ტენის ფუნქციის დათრგუნვა |

6. ინფორმაცია პაციენტებისათვის

მიზანი: საშარდე ტრაქცის ინფექციის მიზები ბაქტერიაა და, ამდენად, მკურნალობისათვის ანტიბიოტიკების მიღებაა საჭირო;

შეუწევადობის ძურხი: ანტიბიოტიკები უნდა დაილიოს ისე, როგორც ექიმი დანიშნავს. არ შეწყდეს მკურნალობა ადრე, თუნდაც პაციენტის მდგომარეობა პირველივე დღეებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს.

სითხეები: დღეში უნდა დაილიოს, სულ მცირე, 8 ჭიქა სითხე.

შეუწევადობის მოსალოდნებელი გვერდითი ეფექტები: ანტიბიოტიკებით მკურნალობის ფონზე მოსალოდნელია კანგე გამონაყარი, გულისრევა, ღებინება, ვაგინიტი. თუკი ექიმი ტკივილის დასაყუჩებლად ფენაბოპირიდინს დანიშნავს, პაციენტი უნდა გავაფრთხილოთ, რომ შარდი, შესაძლოა, ფორთოხლისფერი გახდეს.

როდის უნდა მიმართოთ ექიმის უფრო ძლიერ, გადარე ამას პრაქტიკის პროტოკოლი ითვალისწინებები: სიმპტომები, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში ექიმს მეორე, დაგეგმილ, ვიზიტამდე უნდა მიმართოთ: ცხელება ან ძლიერი დისკომფორტი, რომელიც მკურნალობის დაწყებიდან 72 საათშე მეტ ხანს გრძელდება, გულისრევა ან ღებინება, რის გამოც შეუძლებელი ხდება ანტიბიოტიკების მიღება, ხებისმიერი ახალი სიმპტომი.

მიმართოთ ექიმს, თუკი ინფექციის სიმბოლოები ანტიბიოტიკოთურამის დასრულების შემდეგ მაიც გაგიმეორდათ.

**მიკრობიოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად შარდისა და სისხლის აღებისა და
ტრანსპორტირების ტექნიკა**

| სინჯის შეცროვების ხერხი | აღების ტექნიკა | შენაშენა |
|--|--|--|
| შარდი სპონტანური შარდვის გზით | შორისისა და გენიტალიური მაღამო უნდა დამუშავდეს თბილი წელით და საპნით საღებულებებით საშალებების გამოყენების გარეშე. დაღლის შარდის შეაღედური პორცია, 5-10 მლ-ის თაღებით უნდა შეცროვდეს სტერილურ ჭურჭელში და გავ ზაგნოს ლაბორატორიაში არა უცვიანეს 2 საათისა | გამოკვლევისათვის სასურველია დაღლის შარდის გამოყენება. თუ მასი მიღება გერენსების, მაშინ გამოსაკვლევად უნდა შეცროვდეს შარდი უძანასენელია მოშარდვისას 4 საათის შემდეგ |
| შარდის ბუშტის კათეტერიზაცია | შორისისა და გენიტალიური პივინური დამუშავების შემდეგ შარდის ბუშტში შეპყავთ კათეტერი. ღიუბები შარდის შეაღედურ პორციას 5-10 მლ-ის რაოდენობით | შარდის ბუშტის შეფშივი კათეტერის არსებობისას მიზანშეწონიად ჩატარდება შარდის ბუშტის ბოქტებულება ბუშტის ამის ჩატარება. შეუძლებელია, მაშინ შარდის შეცროვება სასურველია განხორციელდეს კათეტერის პროტომალური ნაწილის ბუშტისათვის. კათეტერის გარეთა ზედამინის უნდა დამუშავდეს საღებულებების სანაცვლით |
| შარდის ბუშტის ბოქტებულება პუნქტია | კანის დეზინფექციის შემდეგ (70% ეთანოლი+იოდის სპირტისნარი) ნორციელდება შარდის ბუშტის ბუშტია და სტერილურ ჭურჭელში აგროვდება 5-10 მლ შარდს | |
| სისხლის ანალიზი | | |
| სისხლის აღების იდენტიფიკაცია | პუნქტის აღვიზო წინასწარ ერთი წუთის განმავლობაში, ბაბის ტამბონის კონცენტრული მომრავლით ცენტრალურ პერიფერიასაპერ უნდა დამუშავდეს იოდით ან სპირტითა და იოდით ერთად. უშუალოდ სისხლის აღების წინ კანი უნდა დამუშავდეს 70%-იანი ეთანოლით. კენაპუნქტია უნდა ჩატარდეს სტერილური ხელთათმანების, ნემსისა და შპრიცის გამოყენებით. გამოსაკვლევად უნდა გავ ზაგნოს, ხული მცირე, 10 მლ სისხლი. შპრიც ში შეცროვების შემდეგ სისხლს ათავსებენ სტერილური, | სისხლი გამოსაკვლევად აღვიზო უნდა იქნას ანტიბიოტიკების დანიშნამდებარებულია ეს გამორიცხულია უშუალოდ ანტიბიოტიკის შეყვანის წინ |

| | | |
|--|--|--|
| | <p>ძმებითი გარემოს შემცველ ხტერალურ ქოდაში. სისხლისა და საკვები ნიაღავის თანაფარდობაა 1/10 ძმებითი ნიაღავის შემცველი ფლაკონის თავსახურს ჩხვლეტაძე ამუშავებენ სპირტით. სინჯი დაუყოფნებლივ უნდა გაიგზავნოს მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში, თუ სასწრავო ტრანსპორტირება გერ ხერხდება, სინჯი უნდა მოთავსდეს 37° ტემპერატურის გარემოში</p> | |
|--|--|--|

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Nicolle LE. Urinary tract infections in the elderly. In: Hazzard WR, Blass JP, Ettinger WH, Halter JB, Ouslander JG, eds. *Principles of Geriatric Medicine and Gerontology*, 4th ed. New York: McGraw-Hill, 1999;823-833.
2. Nordenstam GR, et al. Bacteriuria and mortality in an elderly population. *N Engl J Med* 1986;314:1152-1156.
- 3 Orenstein R, Wong ES. Urinary tract infections in adults. American Family Physician; March 1, 1999.
- 4 .Zhanell GG, Harding GKM, Guay DRP. Asymptomatic bacteriuria: Which patients should be treated? *Arch Intern Med* 1990;150:1389-1396.
5. McMurdo and Gillespie, 2000; Wallach, 2001
6. Yoshikawa TT, Nicolle LE, Norman DC. Management of complicated urinary infection in older patients. *J Am Geriatr Soc* 1996;44:1235-1241.
- 7 .Urinary tract infections. In: Beuben D, Herr K, Pacala J, Potter J, Semla T, Small G, eds. *Geriatrics at Your Fingertips*. New York: American Geriatrics Society; 2000:70-73.
- 8 .Shua-Haim JR, Ross JS. Urinary-tract infections in the elderly: a practical approach. *Clin Geriatr*. 2000
- 9 .Cunha B. Introduction: Urinary tract infection. In: Cunha B, ed. *Urinary tract infection: Current issues in diagnosis and management. Antibiotics for Clinicians*. 1998; 2(suppl 2):3-4.
10. Hooton TM, Stamm WE. Diagnosis and treatment of uncomplicated urinary infection. *Infect Dis Clin North Am* 1997; 11(3):551-81
11. Urinary tract infections (chap. 100; section 12). In Beers MH, Berkow R (eds). *The Merck Manual of Geriatrics* (3rd ed.). Whitehouse Station, NJ: Merck Research Laboratories, 2000: 984-85
12. Gilbert D, Moellering R, Sande M. *Sanford Guide to Antimicrobial Therapy*. 32nd ed. Hyde Park, Vermont: Antimicrobial Therapy, Inc; 2002.
- 13 . Ouslander JG, Osterweil D, Morley J. *Medical Care in the Nursing Home*, 2nd ed. New York: McGraw-Hill, 1997;303-307
14. Ham RJ, Sloane PD. *Primary Care Geriatrics: A Case-Based Approach*, 3rd ed. St. Louis: Mosby, 1997;554-559.
15. Stamm WE. Urinary tract infections and pyelonephritis. In: Grouch SL, Bartlett JG, Blacklow NR. *Infectious Disease*, 2nd ed. Philadelphia: W. B. Saunders, 1998;820.
16. O'Donnell J, Gelone S, Abrutyn E. Selecting drug regimens for urinary tract infection: current recommendations. *Infect Med*. 2002;19:14-22.